

GE



iHealth

აქტივობისა და ძილის ტრეკერი

მოგესალმებით!

თქვენს წინაშეა iHealth-ის აქტივობისა და ძილის ტრეკერი; მოწყობილობა, რომელიც მონიტორინგს გაუწევს თქვენს ყოველდღიურ მოქმედებას: აქტივობასა და ძილს. წინამდებარე ტრეკერი, რომელსაც თან ერთვის *iHealth MyVitals* უფასო აპლიკაცია, დაგეხმარებათ მოტივაციის ამაღლებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის შენარჩუნებაში.


ყუთის კომპლექტაცია



1 ტრეკერი







მაჯის 2 ფარადი სალბა და წელის
შესაბამისი სამაგრი



1 USB კაბელი
დანამუხტად

ტრეკერის ტარების წესი

სურვილისამებრ, მოირგეთ ტრეკერი მაჯაზე ან დაიმაგრეთ წელზე, რათა ტრეკერმა *ღღის* განმავლობაში მოახდინოს თქვენი აქტივობის მონიტორინგი. *ძილის* მონიტორინგისთვის კი ტრეკერი დაიმაგრეთ მაჯაზე (იხ. სურ.)



ელემენტის დამუხტვა

წინამდებარე ტრაქერი შეიძლება ჩაშენებულ ელემენტს მრავალჯერადი დამუხტვის ციკლით. დასამუხტად ტრაქერის უკანა მხარის ბუდე დააკავშირეთ USB კაბელთან, რომლის მეორე ბოლო შეერთებული იქნება კომპიუტერთან.

რეკომენდირებულია: თავდაპირველი მოხმარებისათვის ტრაქერი უნდა დაიმუხტოს დაახლოებით 2 საათი.

ტრაქერის ეკრანზე გამოისახება ელემენტის დამუხტვის დონე. ბოლომდე დამუხტული ელემენტით ტრაქერი დაახლოებით 5-7 დღე მუშაობს.



აპლიკაციის გადმოწერა

თქვენ იOS-ისთვის iHealth MyVitals აპლიკაციას იწერთ App Store-დან. iOS-ს ვერსია უნდა იყოს მინიმუმ 5.0.



ანბარიშის შექმნა

აპლიკაციის გადმოწერისა და დაყენების შემდეგ, მიჰყევით ეკრანზე არსებული ბიჭების თანმიმდევრობას. ანბარიშის სრულფასოვნად შექმნისათვის უფასოდ დარეგისტრირდით iHealth-ის ოფისიალურ “ღრუბლოვან” სერვერზე www.ihealthlabs.com

Bluetooth კავშირი

წინამდებარე ტრეკერი იყენებს *Bluetooth*-ის 4.0 ტექნოლოგიას. კავშირის დასამყარებლად თქვენს მოწყობილობაზე ჩართეთ *Bluetooth*-ი. გახსენით აპლიკაცია და მიჰყევით ეკრანზე გამოსახულ მარტივ ინსტრუქციას. ტრეკერი ავტომატურად დაუკავშირდება თქვენს მოწყობილობას, როგორც კი გახსენით შესაბამის აპლიკაციას. თუკი თქვენი ტრეკერის ელემენტი დასამუხტია, გამოყენებამდე აუხილავლად დამუხტეთ და შემდეგ მოახდინეთ დაკავშირება. შეგახსენებთ, რომ ტრეკერის ეკრანზე გამოისახება შემდეგი შეტყობინება – *Launch the app to start.*





მონაცემთა სინქრონიზაცია

თქვენი აქტივობისა და ძილის სტატისტიკა ავტომატურად განიზავნება თქვენს მობილურში, მაშინ როდესაც ჩავრთავთ აპლიკაციას. ტრეკერს შეუძლია 14 დღე შეინახოს სტატისტიკური მონაცემები. *სინქრონიზაცია ყოველდღიურად რეკომენდირებულია.*

აქტივობის მთვლელი

წინამდებარე ტრეკერი ახდენს ყოველდღიურ მონიტორინგს. გადაავლეთ თვალი თქვენ მიერ განვლილ ნაბიჯებს, დახარჯულ კალორიებსა და დაფარულ მანძილს ტრეკერის დილაკზე დაჭირით. აქტივირების სტატისტიკის ანულირება მოახდინეთ *შუალაშისას*.



ტრეკერის “დაძინება”

ტრეკერის “დასაძინებლად” ტრეკერზე დააჭირეთ დილაკს 2 წამის განმავლობაში, მანამ, სანამ არ გამოიხატება შემდეგი შეტყობინება – Sleep. “გამოღვიძების” შემთხვევაში გააკეთეთ იგივე ოპერაცია – 2 წამის განმავლობაში დააჭირეთ დილაკს და ტრეკერის “გაიღვიძებს”. ძილის სტატისტიკური მონაცემები ავტომატურად სინქრონიზდება, როცა გაუშვებთ აპლიკაციას.

ჩუმი სიგნალიზაცია / Silent Alarms

თუკი აპლიკაციიდან აირჩევთ ამ ფუნქციას, ტრეკერი გააკეთებს შემდეგს: ტრეკერი ვიზრასიული იმპულსის საშუალებით მსუბუქად შეარხებს თქვენს მაჯას, რათა გაიღვიძოთ ან/და მეტად იაქტიუროდ.



თვითმფრინავის რეჟიმი

ამისთვის თქვენი მოწყობილობიდან გამოართეთ *Bluetooth*-ი. ხოლო მიმდინარე რეჟიმის გასაუქმებლად ტრეკერის დილაკს დააჭირეთ 2 წამის განმავლობაში.

